ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №72

2015 წლის 6 ნოემბერი

ქ. ზუგდიდი

,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 69-ე და მე-80 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №2196 განკარგულების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24.12.2014 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.170.016072) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) შემცირდეს ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით 5,7 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად შემცირდეს გადასახდელების ნაწილი შემდეგი დანიშნულებით:

ა.ა) 3,9 ათასი ლარით – ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია/კოდი 03 02 08/;

ა.ბ) 1,0 ათასი ლარით – გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია/კოდი 03 02 01/;

ა.გ) 0,8 ათასი ლარით – მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა/კოდი 03 03 01/;

ბ) გადიდდეს ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი 300.0 ათასი ლარის ოდენობით დამიიმართოს იგი სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად/კოდი 04 03/;

გ) ბიუჯეტის შემოსულობების ცვლილებების შესაბამისად მისი მოცულობა განისაზღვროს 21 107.5 ათასი ლარით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 20 813,2 ათასი ლარისა;

დ) შევიდეს შიდა ცვლილება დამტკიცებულ ბიუჯეტში და შემცირდეს:

დ.ა) 109.9 ათასი ლარით – ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პროგრამა /კოდი 0300/, მათ შორის:

დ.ა.ა)78.0 ათასი ლარით – გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია/კოდი 030201/;

დ.ა.ბ) 10,9 ათასი ლარით – სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია /კოდი 03 04/;

დ.ა.გ) 18,3 ათასი ლარით – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის ღონისძიებები/კოდი 03 08/;

დ.ა.დ) 1,6 ათასი ლარით – ბულვარში მდებარე შადრევნების რეკონსტრუქცია/კოდი 03 03 03/;

დ.ა.ე) 1,1 ათასი ლარით – ლიფტების რეაბილიტაცია /კოდი 03 02 04/;

დ. ბ) 153.9 ათასი ლარით – განათლების პროგრამა /კოდი 04 00/ მათ შორის:

დ.ბ.ა) 2,0 ათასი ლარით – სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა ა.ა.ი.პ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის“ ბაზაზე /კოდი 04 03/;

დ.ბ.ბ) 147,9 ათასი ლარით – ქალაქ ზუგდიდში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია /კოდი 04 06/;

დ.ბ.გ) 4,0 ათასი ლარით – განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა/კოდი 04 04/;

დ.გ) 316,4 ათასი ლარით – კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პროგრამა /კოდი 05 00/ მათ შორის:

დ.გ.ა) 37,1 ათასი ლარით – კულტურული ღონისძიებების დაფინანსება /კოდი 05 02 05/;

დ.გ.ბ) 120,0 ათასი ლარით – სპორტის განვითარების ცენტრის პროგრამა /კოდი 05 01 01/;

დ.გ.გ) 85,0 ათასი ლარით – სპორტული ღონისძიებების დაფინანსების და მინი სპორტული მოედნების მშენებლობა, რეაბილიტაციის პროგრამა /კოდი 05 01 02/;

დ.გ.დ) 50,0 ათასი ლარით – №1 სამუსიკო სკოლის დაფინანსება /კოდი 05 02 03/;

დ.გ.ე) 7,0 ათასი ლარით – სამხატვრო გალერეის ხელშეწყობის პროგრამა /კოდი 05 02 01/;

დ.გ.ვ) 12,8 ათასი ლარით – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა /კოდი 05 02 01/;

დ.გ.ზ) 4,5 ათასი ლარით – ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება /კოდი 0503/

დ. დ) შემცირებული თანხების შესაბამისად 580,2 ათასი ლარით გადიდდეს საბიუჯეტო ასიგნებანი, კერძოდ:

დ.დ.ა) 30,0 ათასი ლარით – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს /კოდი 0101/ მიმდინარე ხარჯები;

დ.დ.ბ) 45,0 ათასი ლარით – ქალაქის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა ა.ა.ი.პ. „კეთილმოწყობის ცენტრის“ ბაზაზე /კოდი 0303 02/;

დ.დ.გ) 177,3 ათასი ლარით – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების პროგრამა /კოდი 03 02 02/;

დ.დ.დ) 150,0 ათასი ლარით-ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა /კოდი 050103/;

დ.დ.ე) 100,0 ათასი ლარით – გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები /კოდი 03 02 01/, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დასაფარავად;

დ.დ.ვ) 7,0 ათასი ლარით – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი/კოდი 01 02/, საინფორმაციო დანიშნულების მცირე არქიტექტურული ელემენტის დასამონტაჟებლად;

დ.დ.ზ) 60,9 ათასი ლარით – გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის ხარჯები /03 01 01/;

დ.დ.თ) 10,0 ათასი ლარით – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაციის ხარჯები/კოდი 06 03 04/, ამპუტანტ ფეხბურთელთა კლუბ „ოდიშის“ ფინანსური მხარდაჭერისათვის.

ე) ზემოხსენებული ცვლილების გათვალისწინებით, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის

გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 22511,4 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 22217,1 ათასი ლარისა.

მუხლი 2

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — მერაბ ქვარაია

დანართი

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	17 455,4	3 905,6	13 549,8	20 657,5	4 960,6	15 696,9
გადასახადები	1 436,4	0,0	1 436,4	1 550,0	0,0	1 550,0
გრანტები	13 852,5	3 905,6	9 946,9	16 785,5	4 960,6	11 824,9
სხვა შემოსავლები	2 166,5	0,0	2 166,5	2 322,0	0,0	2 322,0
ხარჯები	11 389,2	79,2	11 310,0	15 272,8	876,1	14 396,7
შრომის ანაზღაურება	3 053,5	0,0	3 053,5	2 782,6	0,0	2 782,6
საქონელი და მომსახურება	1 406,6	60,1	1 346,5	2 149,3	306,6	1 842,7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	5 644,2	0,0	5 644,2	7 297,2	0,0	7 297,2

გრანტები	297,0	0,0	297,0	1 257,0	0,0	1 257,0
სოციალური უზრუნველყოფა	761,4	0,0	761,4	1 015,0	0,0	1 015,0
სხვა ხარჯები	226,5	19,1	207,4	771,7	569,5	202,2
საოპერაციო სალდო	6 066,2	3 826,4	2 239,8	5 384,7	4 084,5	1 300,2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 145,8	2 784,0	1 361,8	5 800,8	5 254,7	546,1
ზრდა	4 216,5	2 784,0	1 432,5	6 250,8	5 254,7	996,1
კლება	70,7	0,0	70,7	450,0	0,0	450,0
მთლიანი სალდო	1 920,4	1 042,4	878,0	-416,1	-1 170,2	754,1
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 071,4	1 042,4	29,0	-1 403,9	-1 170,2	-233,7
ზრდა	1 071,4	1 042,4	29,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 071,4	1 042,4	29,0	0,0		
კლება	0,0	0,0	0,0	1 403,9	1 170,2	233,7
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			1 403,9	1 170,2	233,7
	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-849,0	0,0	-849,0	-987,8	0,0	-987,8
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	849,0	0,0	849,0	987,8	0,0	987,8
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	849,0	0,0	849,0	987,8	0,0	987,8
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	17 526,1	3 905,6	13 620,5	21 107,5	4 960,6	16 146,9
შემოსავლები	17 455,4	3 905,6	13 549,8	20 657,5	4 960,6	15 696,9
არაფინანსური აქტივების კლება	70,7	0,0	70,7	450,0	0,0	450,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	16 454,7	2 863,2	13 591,5	22 511,4	6 130,8	16 380,6
ხარჯები	11 389,2	79,2	11 310,0	15 272,8	876,1	14 396,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 216,5	2 784,0	1 432,5	6 250,8	5 254,7	996,1
ვალდებულების კლება	849,0	0,0	849,0	987,8	0,0	987,8
ნაშთის ცვლილება	1071,4	1042,4	29,0	-1403,9	-1170,2	-233,7

მუხლი 3. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 20657.5 ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები

შემოსავლები	17 455,4	3 905,6	13 549,8	20 657,5	4 960,6	15 696,9
გადასახადები	1 436,4	0,0	1 436,4	1 550,0	0,0	1 550,0
გრანტები	13 852,5	3 905,6	9 946,9	16 785,5	4 960,6	11 824,9
სხვა შემოსავლები	2 166,5	0,0	2 166,5	2 322,0	0,0	2 322,0

მუხლი 4. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1550,0 ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1 436,4	0,0	1 436,4	1 550,0	0,0	1 550,0
ქონების გადასახადი	1 436,4	0,0	1 436,4	1 550,0	0,0	1 550,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდამიწისა)	1 030,4		1 030,4	1 000,0		1 000,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდამიწისა)	66,4	0,0	66,4	50,0	0,0	50,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	80,8	0,0	80,8	0,0	0,0	0,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	258,8	0,0	258,8	500,0	0,0	500,0

მუხლი 5. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 16785.5ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათშორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები

		ტრანსფერები			ტრანსფერები	
გრანტები	13 852,5	3 905,6	9 946,9	16 785,5	4 960,6	11 824,9
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0.0			0.0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13 852,5	3 905,6	9 946,9	16 785,5	4 960,6	11 824,9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	9 946,9	0,0	9 946,9	11 824,9	0,0	11 824,9
გათანაბრებითი ტრანსფერი	9 876,9		9 876,9	11 729,9		11 729,9
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	70,0		70,0	95,0		95,0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3 905,6	3 905,6	0,0	4 960,6	4 960,6	0,0

მუხლი 6. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2322,0 ათ. ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	2 166,5	0,0	2 166,5	2 322,0	0,0	2 322,0
შემოსავლები საკუთრებიდან	90,1	0,0	90,1	10,0	0,0	10,0
პროცენტები	48,0		48,0	0,0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 506,3	0,0	1 506,3	1 812,0	0,0	1 812,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 506,3	0,0	1 506,3	1 812,0	0,0	1 812,0
სანებართვო მოსაკრებელი	95,4		95,4	160,0		160,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,0		1,0	2,0		2,0

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 167,2		1 167,2	1 150,0		1 150,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	242,7		242,7	500,0		500,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0,0		0,0	0.0		0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	570,1		570,1	500,0		500,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული	0,0		0,0	0.0		

მუხლი 7. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 15 272,8ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	11 389,2	79,2	11 310,0	15 272,8	876,1	14 396,7
შრომის ანაზღაურება	3 053,5	0,0	3 053,5	2 782,6	0,0	2 782,6
საქონელი და მომსახურება	1 406,6	60,1	1 346,5	2 149,3	306,6	1 842,7
სუბსიდიები	5 644,2	0,0	5 644,2	7 297,2	0,0	7 297,2
გრანტები	297,0	0,0	297,0	1 257,0	0,0	1 257,0
სოციალური უზრუნველყოფა	761,4	0,0	761,4	1 015,0	0,0	1 015,0
სხვა ხარჯები	226,5	19,1	207,4	771,7	569,5	202,2

მუხლი 8. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები მათ შორის: განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების

ზრდა 6 250,8ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	4 216,5	2 784,0	1 432,5	6 250,8	5 254,7	996,1
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	97,6	0,0	97,6	106,9	0,0	106,9
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	683,5	0,0	683,5	3,6	0,0	3,6
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3 122,1	2 560,7	561,4	5 289,2	4 578,3	710,9
განათლება	223,3	223,3	0,0	831,1	676,4	154,7
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	90,0	0,0	90,0	20,0	0,0	20,0

მუხლი 9. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კლასიფიკაცია

	დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 068,6	0,0	2 068,6	3 660,4	0,0	3 660,4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 058,6	0,0	2 058,6	3 660,4	0,0	3 660,4

70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 984,3	0,0	1 984,3	3 530,4	0,0	3 530,4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	74,3	0,0	74,3	130,0	0,0	130,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	10,0	0,0	10,0	0,0	0,0	0,0
702	თავდაცვა	103,5	0,0	103,5	196,1	0,0	196,1
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2 383,3	0,0	2 383,3	957,0	0,0	957,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	2 383,3	0,0	2 383,3	957,0	0,0	957,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 471,7	2 501,6	970,1	5 421,2	3 804,3	1 616,9
7045	ტრანსპორტი	1 179,5	1 092,6	86,9	1 018,8	689,0	329,8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 179,5	1 092,6	86,9	1 018,8	689,0	329,8
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
70473	ტურიზმი	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2 292,2	1 409,0	883,2	4 402,4	3 115,3	1 287,1
705	გარემოს დაცვა	1 274,8	78,0	1 196,8	2 245,1	657,7	1 587,4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 184,0	0,0	1 184,0	1 603,1	125,8	1 477,3
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	90,8	78,0	12,8	642,0	531,9	110,1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	907,1	60,3	846,8	1 848,2	992,4	855,8
7061	ბინათმშენებლობა	28,5	19,1	9,4	578,4	569,5	8,9
7063	წყალმომარაგება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7064	გარეგანათება	789,0	41,2	747,8	1 144,9	422,9	722,0

7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	89,6	0,0	89,6	124,9	0,0	124,9
707	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	0,0	0,0	86,0	0,0	86,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	0,0	0,0	0,0	27,0	0,0	27,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	0,0	0,0	0,0	59,0	0,0	59,0
708	დასვენება, კულტურადარელიგია	2 803,6	0,0	2 803,6	3 441,2	0,0	3 441,2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 605,1	0,0	1 605,1	2 069,0	0,0	2 069,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 074,6	0,0	1 074,6	1 211,6	0,0	1 211,6
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	22,6	0,0	22,6	21,0	0,0	21,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	21,4	0,0	21,4	39,6	0,0	39,6
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	79,9	0,0	79,9	100,0	0,0	100,0
709	განათლება	1 831,7	223,3	1 608,4	2 729,4	676,4	2 053,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 280,0	0,0	1 280,0	1 492,0	0,0	1 492,0
7092	ზოგადი განათლება	88,8	0,0	88,8	90,0	0,0	90,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	88,8	0,0	88,8	90,0	0,0	90,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	462,9	223,3	239,6	1 147,4	676,4	471,0
710	სოციალური დაცვა	761,4	0,0	761,4	939,0	0,0	939,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	100,0	0,0	100,0	110,0	0,0	110,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	100,0	0,0	100,0	110,0	0,0	110,0
	2014 წელს კომპენსაციის						

7102	თანხა და 2015 წელს ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	230,0	0,0	230,0	3,0	0,0	3,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	15,7	0,0	15,7	33,0	0,0	33,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	28,0	0,0	28,0	55,0	0,0	55,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	21,9	0,0	21,9	30,0	0,0	30,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	365,8	0,0	365,8	708,0	0,0	708,0
	სულ	15 605,7	2 863,2	12 742,5	21 523,6	6 130,8	15 392,8

თავი II
ქალაქ ზუგდიდის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 10. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

2015-2017 წლებში მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, კულტურისა და სპორტის განვითარებას.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

–ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განმტკიცება;

–საინვესტიციო გარემოს და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

–სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება;

–განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება;

– მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, მოსახლეობის სოციალური დახმარების და ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება.

2015 და შემდგომი წლების პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა ქალაქის მასშტაბით, თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქალაქში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

196,1 ათასი ლარი – ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამა ახორციელებს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო და სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევას, მათ სამედიცინო შემოწმებას და გაწვევის ტრანსპორტირებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

· სამხედრო აღრიცხვის **სრულყოფილი** კოორდინაცია-უზრუნველყოფა.

· სამედიცინო შემოწმების შედეგებით ჯანმრთელი ახალგაზრდების სრულად გაწვევის უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· სამხედრო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

2. 9514,5 ათასი ლარი- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ურბანული განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში დაიწყება და გაგრძელდება ქალაქის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოებისა და სახურავების, დასასვენებელი პარკების რეაბილიტაცია, ქალაქის ცენტრში არსებული ტროტუარების კეთილმოწყობა, ბოტანიკური ბაღისა და დადიანების სასახლე-მუზეუმის პროექტები, შეიქმნება ქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტისა და საზოგადოებრივი სერვისების (პარკინგი, საგზაო ნიშნები, შუქნიშნები და ა.შ.) ახალი ინფრასტრუქტურა. ამასთან, ქალაქის ურბანული განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს გარე განათების არსებული სისტემის მოვლა-შენახვა და ქსელის გაფართოება, ასევე სანიაღვრე, წყლის სისტემების და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა,მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია.მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურისათვის თანხები გამოიყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2.1 1018,8 ათასი ლარი – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა გზების რეაბილიტაცია.

2.1.1 1018,8 ათასი ლარი – გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ქალაქის შიდა გზების და ტროტუარების რეაბილიტაცია. ქალაქ ზუგდიდის შიდა გზების და მიმავალი გზების რეაბილიტაციასა და მოწყობის საკითხი ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

აღნიშნული სამუშაოების შესრულება მნიშვნელოვან ეფექტს მოიტანს. მოსახლეობას მიეცემა ნორმალური გადაადგილების საშუალება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

· მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

· ბაზრებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

- სკოლებთან და ჯანდაცვის ობიექტებთან გადაადგილების ხელშეწყობა.
- ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

2. 3461,3 ათასი ლარი – კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

კეთილმოწყობილი და განათებული ქალაქი.

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საცხოვრებელი კორპუსების და მათი ეზოების მდგომარეობა;

ქუჩების განათების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა.

გაუმჯობესებული და კეთილმოწყობილი დასვენებისა და გართობის ადგილები.

2.2.1 1144,9 ათასი ლარი – გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა–შენახვა, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი ქსელების მოწყობა, არსებული ქსელის მოვლა–შენახვა და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება დღეღამის განმავლობაში, ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განათებული ქუჩების და უბნების რაოდენობის ზრდა.

2.2.2. 1477,3 ათასილარი – დასუფთავების ღონისძიებები ააიპ **„ზუგდიდდასუფთავების“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 030202)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა და გაუმჯობესება. ყოველდღიურად 50 ჰექტარამდე ფართის დაგვა–დასუფთავების და 130-150 კუბურ მეტრამდე ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიიდან, მრავალსართულიანი საცხოვრებელის

ბუნკერებიდან, კომპაქტურად ჩასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებიდან, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მასალით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

დასუფთავებული, სანიტარიულ ჰიგიენურად მიმზიდველი ტერიტორიები, ეკოლოგიურად გაუმჯობესებული მდგომარეობა,

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მომსახურეობის სფეროს ზრდა, სპეცტექნიკის რაოდენობის ზრდა.

2.2.3 8.9 ათასი ლარი – ლიფტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 030204)

ლიფტების შეკეთება, რეაბილიტაცია და ახალი ლიფტების შეძენა–მონტაჟი. აღნიშნული სამუშაოები გათვალისწინებულია მაღალსართულიანი ბინების მიხედვით. აღნიშნული საქმიანობების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესრულება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ლიფტები

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მრავალსართულიან ბინებში რეაბილიტირებული და ახლად განთავსებული ლიფტების რაოდენობა. .

2.2.4. 124,9 ათასი ლარი – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამა ააიპ ,,სასაფლაოების მართვის ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 030206)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა–პატრონობას, შემოკავების სამუშაოების, გადაბერებული ხეების მოჭრას და გადაცემას სოციალური დანიშნულების სარგებლობისათვის შესაბამის სამსახურზე. საფლავების აღრიცხვა-განკარგვაში წესრიგის დამყარებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოვლილი მიცვალებულთა საფლავები

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რამდენად დაცულია სასაფლაოები და 2015 წელს რამდენი შემოკავდა.

2.2.5 10,0 ათასი ლარი – საკადასტრო რუკების მომზადება (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქალაქის დაგეგმარების და პრესპექტიული განვითარების გეგმის შესაბამისად არასასოფლო მიწების შემდგომი გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზების მომზადება. საკადასტრო ნახაზების ელექტრონული ვერსიების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგები:

მომზადებული საკადასტრო ნახაზები არასასოფლო მიწების.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კანონის შესაბამისად განკარგული მიწები.

2.3 1469,3 ათასი ლარი –კეთილმოწყობის ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 03 03)

აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია კეთილმოწყობის ცენტრი რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები: განათების ქსელის მოვლა–შენახვა, სანიაღვრეების მოწყობა და ექსპლოატაცია, გამწვანების სამუშაოები, მწვანე საფარის მოვლა–შენახვა, შადრევნების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ბოტანიკური ბაღის მოვლითი სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მორთვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ქალაქის კეთილმოწყობილი იერსახე,

ჯანსაღი გარემო, მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული დასვენების ადგილები.

ქალაქის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობილი ტერიტორიების ზრდა ქალაქის ტერიტორიაზე.

განათებული ქუჩების რაოდენობის ზრდა.

კეთილმოწყობილი შადრევნები.

გამწვანებული და მოვლილი ტერიტორიები.

ჭარბი ნალექებისაგან მოსახლეობის უვნებლობის მაჩვენებელი.

2.3.1. 065,2 ათასი ლარი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (ა.ი.პ –, ,კეთილმოწყობის ცენტრი" (პროგრამული კოდი 03 03 02)

ზრუნვა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის. კეთილმოწყობის არსებული ობიექტების მოვლა–შენახვა. გარე განათების ქსელის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის მოვლა–შენახვის სამუშაოების ჩატარება. ქალაქის პარკების, სკვერების გაზომვის, გამწვანების მოვლა-შენახვა, სანიღვრე არხების მიმდინარე მოვლითი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ავარიული და გამხმარი ხეების გადაბელვა და ახლის დარგვა, შადრევნების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, საგზაო ნიშნების სრულყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

კეთილმოწყობილი ტერიტორიები ქალაქისა და სხვა დასახლებული უბნების გაუმჯობესებული იერსახე. მოსახლეობის პოზიტიური განწყობა არსებული სფეროს მიმართ.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობის საკითხებზე მოქალაქეთა შენიშვნების ნაკლები რაოდენობა, აღნიშნულ საკითხებზე შემოსული თხოვნებისა და წინადადებების დაკმაყოფილების რიცხოვნობის ზრდა.

2.4. 642,0 ათასი ლარი – სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე წყალსაწრეტი არხები და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოწესრიგებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

წყალდიდობისაგან და სხვა სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვის მაჩვენებელი.

2.5 988.0 ათასი ლარი – ყინულის მოედნის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდში ყინულის მოედნის მშენებლობას. ქალაქი უზრუნველყოფს სპორტის უმნიშვნელოვანესი სახეობის ფიგურული სრიალის განვითარების ხელშეწყობას. პროგრამის მიზანია 2015 წელს შეჯიბრების მაჩვენებლების მნივნელოვანი გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ფიგურული სრიალის გუნდის მომზადება და განვითარება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებებზე და ტურნირებში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გუნდის ტურნირებში მონაწილეობის შედეგობრივი მაჩვენებელი.

2.6 96.7 ათასი ლარი – ქალაქის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 08)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქის კუთვნილი შენობების, ოთახების და სხვა აქტივების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებს, შენობებში შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ხელსაყრელი შეღწევადობისათვის პანდუსების მოწყობის სამუშაოებს.

2.7. 378.4 ათასი ლარი – ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვების განხორციელებისათვის (პროგრამული კოდი 03 09)

პროგრამა ითვალისწინებს მთავრობის განკარგულებათა შესაბამისად გამოყოფილი სამუშაოების შესაბამისი საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო და საექსპერტო მომსახურეობის განხორციელებას. ზუგდიდში შიდა საავტომობილო გზების ტროტუარების რეაბილიტაციას, სანიაღვრე არხებისა და კოლექტორების რეაბილიტაციას, ყინულის მოედნის მშენებლობის მესამე ეტაპის სამუშაოების, გარე განათების ქსელის რეაბილიტაციას და ახლის მშენებლობას,მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაციას, ბოტანიკური ბაღის კეთილმოწყობას, ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაციას.

3. 0 2729.4 ათასი ლარი – განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პროგრამა ითვალისწინებს მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებების ხელშეწყობას, სკოლამდელ დაწესებულებათა ფუნქციონირებაში საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას, სკოლის გარეშე დაწესებულებათა თანადაფინანსებას და ზოგადი განათლების ხელშეწყობას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სკოლამდელი განთლების განვითარების ხელშეწყობა.
- რეაბილიტირებული და განახლებული ბაგა- ბაღები და საჯარო სკოლები.
- მოსწავლე- ახალგაზრდობის განთლების განვითარებისთვის ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ზოგადი განათლების მაღალი დონე.
- შეუფერხებელი სასწავლო პროცესი

3 3.1 1492.0 ათასი ლარი – სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

ქალაქის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1780 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯებს, აღმზრდელ–მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს.პროგრამის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, მათი უნარების განვითარება და სასკოლო განათლებისათვის მომზადება, ხელშეწყობა ოჯახებზე ბავშვის აღზრდა განვითარება და სკოლამდელი განათლების მიღების საქმეში. საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის .სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უნარ-ჩვევების განვითარება, მეთვალყურეობა და ზრუნვა ჯანმრთელობის საკითხებში ფსიქოლოგიურ დაკვირვებათა ანალიზი და გატარებული ღონისძიებები.

შშმ აღსაზრდელების ინტეგრაციის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებული მაჩვენებელი.

ბავშვების მოვლაზე დედების დროის ეკონომიის შედეგად გენდერული საკითხების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ბაღებში ბავშვების რაოდენობის გაიზრდა 700ზე მეტი აღსაზრდელით.

შშმ აღსაზრდელების ინტეგრაციის და ხელმისაწვდომობის კონკრეტული გატარებულ ღონისძიებათა მაჩვენებელი

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მაჩვენებელი.

რეაბილიტირებული და განახლებული და ახლად აშენებული შენობების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

3.2. 90.0 ათასი ლარი – საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის №1, №2, №4, №5, №7, №8, №9 №10, №11 სკოლების, საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, სპორტული მოედნების მოწყობის , სკოლის ეზოების შემოღობვის, კვების ბლოკისა და სანიტარიული კვანძების მოწყობისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

რეაბილიტირებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა საშუალო სკოლებში

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სრულყოფილი სასწავლო პროცესი და კეთილმოწყობილი გარემო.

3.3 290,3 ათასი ლარი – სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა ა.ა.ი.პ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის მიზანია სკოლისგარეშე მუშაობის წარმართვა მოზარდებთან და ახალგაზრდებთან, სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სახელოვნებო კულტურული წრეების ფუნქციონირება, სასკოლო ოლიმპიადების, ტურების, ფესტივალების მოწყობა და ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენა. ინტელექტუალური, შემეცნებითი სახელოვნებო, სასპორტო და სხვა მიმართულებებით ჩამოყალიბებული სექციებისა და ჯგუფების მუშაობის უზრუნველყოფის თანადაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსწავლეთა სკოლისგარეშე, დამატებითი განთლების, უნარ-ჩვევების, მისწრაფებების, განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენა და წარმოჩენა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლე – ახალგაზრდობის მიღწეული წარმატებები სხვადასხვა ოლომპიადებში, ტურებში, კონკურსებსა და ღონისძიებებში.

3.4 26,0 ათასილარი – განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამულიკოდი 0404)

განსაკუთრებული ნიჭის და უნარების მქონე მოზარდთა და ახალგაზრდათა გამოვლენა და მათი ფინანსურ–მატერიალური ხელშეწყობა შესაბამის სფეროში სწავლისა თუ შემოქმედების უნარის წარმოსაჩენად და განსახორციელებლად.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის ზრდა და განვითარება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ნიჭიერ ახალგაზრდათა მიღწეული შედეგების მაჩვენებელი.

4.0 3441.2 ათასი ლარი –კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, კულურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯებს.

4.1 2069.0 ათასი ლარი – სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სპორტსმენთა წვრთნა სხვა და სხვა სახეობის მიხედვით, მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა, წარმატებულ სპორტცმენთა წახალისება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წარმატებულ სპორტსმენთა რაოდენობრივი მაჩვენებელი

4.1.1. 700.0 ათასი ლარი – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ააიპ „სპორტის განვითარების ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 050101)

პროგრამების მიზანია სპორტის სხვადასხვა სფეროების წრეების ფუნქციონირებას,სასპორტო სკოლების, სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სპორტსმენების წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაცია. სპორტული ღონისძიებებში მონაწილება საქართველოში და რესპუბლიკის გარეთ.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

სპორტსმენთა მომზადების, წვრთნის ხარისხის ამაღლება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტსმენთა რაოდენობრივი მაჩვენებელი
- მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობით ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში მიღწეული დადებითი შედეგების რაოდენობრივი მაჩვენებელი
- ახალი სპორტული ობიექტების რაოდენობა

4.1.2 20.0 ათასი ლარი – სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და მინი სპორტული მოედნების მშენებლობა (პროგრამული კოდი 050102)

პროგრამით გათვალისწინებულია ადგილობრივი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, სპორტსმენების და მწვრთნელების ოსტატობის დონის ამაღლება. მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და განვითარება, სპორტული შეჯიბრებების და მასში ჩართული ადამიანებისთვის თვისობრივი და რაოდენობრივი ზრდა, პერსპექტიული მოზარდებისა და ახალგაზრდების გამოვლენა-შეჯიბრებებისა და მონაწილეთა რაოდენობა, ჩატარების ხარისხის გაუმჯობესება.

4.1.3 1349.0 ათასი ლარი – საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდის“ ფინანსური ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 01 03)

ქალაქი უზრუნველყოფს სპორტის უმნიშვნელოვანესი სახეობის ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას.

პროგრამის მიზანია 2015 წელს შეჯიბრების მაჩვენებლების მნივნელოვანი გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ფეხბურთის გუნდის მომზადება და განვითარება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებებზე და ტურნირებში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გუნდის ტურნირებში მონაწილეობის შედეგობრივი მაჩვენებელი.

4.2. 1232.6 ათასი ლარი – კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურულ-შემეცნებითი გასართობი ღონიძიებების ჩატარება, კულტრული ტრადიციების დაცვა–აღდგენა, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური კოლექტივების ფუნქციონირება და განვითარება

4.2.1. 125.7 ათასი ლარი – სამხატვრო გალერეის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050201)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუზეუმების ფონდის აღრიცხვა-სისტემატიზაცია და პოპულიარიზაცია. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება და განახლება, შევსება, ბროშურების გამოცემა და პოპულარიზაცია. სამხატვრო შემოქმედებითი გამოფენის მოწყობა და პოპულარიზაცია. კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენა, აღრიცხვა, სისტემატიზაცია და პოპულარიზება. არსებული

მატერიალურ-ტექნიკური და შემოქმედებითი მდგომარეობის პროგრესირება. კულტურული მემკვიდრეობისადმი საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. ზუგდიდელ მხატვართა შემოქმედებითი მუშაობის სრულყოფა,სამხატვრო გალერეაში ნახატებისა და ხელოვნების სხვადა სხვა ნიმუშების გამოფენებისა და ღონისძიებების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

კულტურული მემკვიდრეობისადმი საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებისადმი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და აღდგენილი სახლ–მუზეუმები.

ჩატარებული ღონისძიებათა და მოწყობილი გამოფენების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

4.2.2. 291.6 ათასი ლარი – სამუსიკო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050203)

სამუსიკო პროგრამა ხორციელება №1 და საგუნდო-სამუსიკო სკოლების ბაზაზე. პროგრამის მიზანია მოზარდებში მუსიკალური უნარ-ჩვევების განვითარება, მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება, სოლო და კოლექტიური კონცერტების გამართვა, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მიღება, პედაგოგთა დაოსტატებისათვის მასტერ-კლასების ჩატარება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციისათვის მხატვრულ-მუსიკალური ღონისძიებების მოწყობა. მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა, ფოლკლორული, საესტრადო და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია. საანგარიშო კონცერტები, სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებზე მიღწეული წარმატებები. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსწავლე ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების დონის ამაღლება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი.

4.2.3. 64,1 ათასილარი – სამხატვრო სკოლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 050202)

პროგრამა ითვალისწინებს მოზარდებში სახვითი ხელოვნების უნარ-ჩვევების სწავლა–განვითარებას, პერსონალური და კოლექტიური გამოფენების მოწყობას, პედაგოგების დაოსტატებისათვის მასტერკლასების მოწყობას სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდთა წარმოჩენას და პროფესიული ზრდას, მონაწილეობას გამოფენებში, სხვადასხვა სახის ღონისძიებებში.

- **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**
- **ახალგაზრდა თაობის სამხატვრო განათლების დონის ამაღლება**
- **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
- **სხვადასხვა გამოფენებში** მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი.

4.2.4. 318.3 ათასი ლარი – საბიბლიოთეკო დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050204)

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება აიპ „ცენტრალური ბიბლიოთეკის“ ბაზაზე. პროგრამის მიზანია: წიგნის კითხვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება. შემოქმედებითი საღამოების მოწყობა. თანამედროვე შემოქმედი ავტორების

პოპულარიზება. საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება. წიგნიერების გაზრდა. შემოქმედებითი პოტენციალის ზრდა. ღონისძიებების ინტენსიობა და ხარისხი. წიგნის კვირეულის ჩატარება. ფოტოგამოფენების მოწყობა. უსინათლოთა პროგრამა „ბუ"–ს დანერგვა. მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- **საბიბლიოთეკო დარგის განვითარება, მოსახლეობის მეტი დაინტერესება წიგნიერებისადმი.**

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მკითხველთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი, ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა.

4.2.5. 111.9 ათასი ლარი – კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის მიზანი სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია მონაწილეთა მასობრიობა, მოსახლეობის განწყობა წელიწადის ყველა ღირშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. წლის განმავლობაში გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების ჩატარება საახალწლო-საშობაო ღონისძიებები: ,,საახალწლო სოფელი" ბავშვებისათვის საშობაო მსვლელობა „ალილო"; ახალგაზრდული პერფომანსი-თეატრალური პანტონიმა; შემოქმედ ქალთა ნამუშევრებისა და ადგილობრივი რეწვის ოსტატების გამოფენა. დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება. ჟურნალისტიკის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნის დღეს მემორიალის ყვავილებით შემკობა; დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ფოტოკონკურსი „ზუგდიდი და ზუგდიდელები"; საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ეკო თოფუზი"; სახალხო დღესასწაული „ვლაქერნობა"; საერთაშორისო საბავშვო-საესტრადო მუსიკის ფესტივალი; აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით მშვიდობიანი აქციის მოწყობა; მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შემოქმედებითი საღამოები; კლასიკური მუსიკის კონცერტი „შემოდგომის სონეტები" გიორგობისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი; აგრეთვე, კულტურულ ღონისძიებათა პროგრამულ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს: „ზუგდიდქალაქობისთვის" მზადება, სცენის შესყიდვა, განათებისა და გასახმოვანებელი აპარატურის შესყიდვა, ფორტეპიანოს შესყიდვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის კულტურული შემეცნებითი დონის ამაღლება, დასვენებისა და გართობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რელიგიურად, კულტურულად და ისტორიულად მნიშვნელოვანი ძეგლების დაცვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობრივი და შინაარსობრივი ზრდის მაჩვენებელი.

4.2.6. 21,0 ათასი ლარი – ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე შეკვეთილი ინფორმაციების , საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნებისა და დაბეჭვდის , სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების ანაზღაურება. გენდერული საკითხების კვლევისა და გაშუქების მიზნით ქალთა გაზეთის თანადაფინანსება, ადგილობრივ პრესაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმაციის მიზნით მასალების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს მიხედვით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ინფორმირებული მოსახლეობა.

მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის;

მასმედიის საშუალებით ქალაქ ზუგდიდს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ინფორმირებულობა;

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კვლევების შედეგები ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე მოსახლეობის ინფორმირების შესახებ .

მოსახლეობის ჩართულობა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში.

4.2.7. 300,0ათასი ლარი – თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა შ. დადიანის სახ. თეატრის ბაზაზე (პროგრამული კოდი 050207)

პროგრამით ხორციელდება სასცენო ხელოვნების პოპულარიზება და განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებზე ახალი სპექტაკლების დადგმა და არსებულის აღდგენა. თეატრალური წარმოდგენების გამართვა, თეატრის სახელმწიფო დონეზე პოპულარიზება, გასტროლებზე გასვლა, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა, მსახიობთა ოსტატობის დასახვეწა და მასტერ-კლასების ორგანიზება

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

თეატრალური ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა თეატრისადმი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მაყურებელთა დასწრების ზრდის მაჩვენებელი

4.3 39.6 ათასილარი – ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 0503)

პროგრამის მიზანი: სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობის პროგრამები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან, მისწრაფებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებები. ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულიარიზაცია, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის. აალგაზრდების საზოგადოებრივი აქტიურობა. ხელშეწყობის ღონისძიებათა გატარება. კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლის პროგრამა დევნილ და ნაკლებადუზრუნველყოფილ ახალხაზრდებისთვის. „ეტალონ მედიას“ გადაცემაში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მონაწილეობის პროგრამის განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. განათლების, კულტურის , ხელოვნების, ინტელექტუალური დონის ამაღლება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განხორციელებული ახალგაზრდული პროექტების, ჩატარებული ახალგაზრდული ღონისძიებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

4.4. **100.0ათასი ლარი – 2014 წელს ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობის ხელშეწყობა (პროგრამულიკოდი 0504)**

5.0 1025,0 ათასი ლარი – მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

· მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე გაგრძელდება ინვალიდი, ობოლი და ტყუპი ბავშვების სოლუიალური დაცვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა ეპიდემიებისაგან.

· სოციალური რისკების განეიტრალება.

· ომის ვეტერანებისა და უკიდურესად შეჭირვებულთა ოჯახების სოციალური დაცვა.

· უნარშეზღუდული ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრირება.

· ღარიბი მოსახლეობის სოციალური დაცვა.

· დედების სოციალური უზრუნველყოფა.

· სოციალური საწარმოების, შშმპ, გენდერული საკითხების ,ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა,კომფლიქტის შედეგათ დაზარალებულთა საკითხებზე აქტუალური პროექტების მხარდაჭერა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· ეპიდემიმიის განგავრცელებისგან დაცული მოსახლეობა.

· მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

· უკიდურესად შეჭირვებული ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

· მრავალშვილიანი ოჯახების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

· სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება.

უნარშეზღუდული ბავშვების და მათი ოჯახების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

სოციალური საწარმოების განვითარება, შშმ პირთა უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორება, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა,კომფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

5.1 59,0 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის

ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწიინაღმდეგო ღონისზიებების დაგეგმვა; დავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება. იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაციათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; ,,ცივი ჯაჭვის" ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა. დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა მალარიის დიაგნოსტიკა, სხვა პარაზიტული დაავადებების დიგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება. სანიტარიული ღონისძიებები საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარიულ–ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა,ეპიდსაწინააღმდეგო,პრევენციული ზომების გატარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინფექციური და გადამდები დაავადებისაგან დაცული მოსახლეობის, ავადობის შემცირებული მაჩვენებელი.

5.2 27,0 ათასი ლარი – ჯანდაცვის სხვა ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 0602)

ცხოვრების ჯანსაღი წესისა და გარემოს შენარჩუნების ღონისძიებათა გატარება. ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, ავადობის პროგნოზირება და საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება.

5.2 . 884.0 ათასი ლარი-მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 0603)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ბენეფიციარებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1. 110,0 ათასი ლარი – სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა უფასო სასადილოები (პროგრამული კოდი 060301)

ითვალისწინებს უმწეო მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, მორალურ და ეკონომიკურ

მხარდაჭერას. ყოველდღიურად (გარდა კვირისა) უმწეო მოქალაქეთა უზრუნველყოფას ცხელი სადილით დღეში ერთხელ, სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ადგილობრივი პირები, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას ან მოპოვებული აქვთ ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობის უფლება, ასევე მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერები (250 ბენეფიციარის ფარგლებში).

ბენეფიციართა შერჩევა მოხდეს წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის მეშვეობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის** ყოფითი პირობების გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- **უფასო სასადილოთი სარგებლობით საჭიროების მქონე მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი.**

5.2.2. 34,0 ათასი ლარი – ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 060302)

ითვალისწინებს ომის ვეტერანთა და ოჯახების ხელშეწყობა. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, ფაშიზმზე გამარჯვების დღის –9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, ყოველთვიურად 50 ლარიანი დახმარება ადგილობრივ ვეტერანებზე. ომის ვეტერანთა ზუგდიდის კავშირის ფინანსური ხელშეწყობა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება 250 ლარის ოდენობით.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში მონაწილე პირთა მონაცემთა ბაზის დადგენის შემდგომ ადგილობრივი ბიუჯეტით სოციალური დახმარების პროგრამაში შესაბამისი ცვლილების შეტანა

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ომის ვეტერანებისა და ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში ომის ვეტერანებისა და ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი

5.2.3. 30.0 ათასი ლარი – ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060303)

ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების, მარტოხელა დედების და დედ–მამით ობოლი ბავშვების ერთჯერად დახმარებას.

ბავშვების სოციალური დაცვის ერთჯერადი დახმარებები: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 ლარით; 5 ბავშვზე – 300 ლარით და ა.შ; პირველი–მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 57000-ზე ნაკლები) – 200 ლარით; ნებისმიერი კატეგორიისთვის: ტყუპების შეძენისას – 500 ლარით; დედ–მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებავშვებისათვის – 200 ლარი; მარტოხელა დედებისათვის, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი ქორწინების გარეშე 200 ლარით;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება,მრავალშვილიანი, ობოლი და მზრუნველობა მოკლებული ბავშვების, მარტოხელა დედების ფინანსური მდგომარეობის

გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ახალშობილთა ზრდის დინამიკის მაჩვენებელი.

5.2.4. 76,6 ათასი ლარი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია (კოდი 060304)

პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა, მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარებები მათ შორის : 18 წლამდე ასაკის უნარშეზღუდული და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვებისათვის 100 ლარით; I ჯგუფის ინვალიდებს, ონკოლოგიურ ავადმყოფებს, სმენადაქვეითებულებს (ყრუ–მუნჯი) 100 ლარით და მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციის ღონისძიება.გარდა ერთჯერადი მატერიალური დახმარებისა შშმ პირთა გარემოსთან ხელმისაწვდომობის, მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციის, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების რიგი ღონისძიებები გათვალისწინებულია როგოც სოციალური დარგის სხვადასხვა კოდებით გათვალისწინებული პროგრამებიდან ასევე ბიუჯეტის სხვა დარგების პროგრამებიდან.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური, ეკონომიური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ პირთა მხარდაჭერისათვის გატარებულ ღონისძიებათა კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

5.2.5. 33,0 ათასი ლარი – მარჩენალ დაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (პროგრამულიკოდი 060305)

პროგრამა ითვალისწინებს მარჩენალ დაკარგულთა ოჯახების მხარდაჭერას. მარჩენალდაკარგულთა ოჯახს,რომელსაც ჰყავთ 18 წლამდე შვილი, ერთჯერადი დახმარების სახით ეძლევა თანხა 200 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მარჩენალ დაკარგულთა ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მარჩენალ დაკარგულთა ოჯახების ხელშეწყობის რაოდენობრივი მაჩვენებელი

5.2.6. 3,0ათასი ლარი – ხანდაზმულთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060306)

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ფინანსური და მორალური მხარდაჭერა, მოხუცების პატივისცემა და თანადგომა,

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

100 წელს გადაცილებულ პირთა მატერიალური და მორალური მხარდაერა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტში ცხოვრები100 წელს გადაცილებულთა მონაცემთა ბაზის დადგენა და მხარდაჭერა.

5.2.7. 37,0 ათასი ლარი – სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა (პროგრამულიკოდი 0603 07)

სადღესასწაულო დღეებში (შობა–ახალი წელი და აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეებს (ადგილობრივი და დევნილი –12 კაცი), უდედმამო ბავშვებს (12), მიუსაფართა სასადილოს (250) და სოციალური საცხოვრისის (15) ბენეფიციარებისთვის ფინანსური, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) დახმარება საჩუქრებით. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა (14 ივნისი, 3 დეკემბერი)

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სადღესასწაულო განწყობის შექმნა, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სადღესააწაულო დღეებში ბენეფიციარებისათვის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, საზეიმო განწყობის შექმნა

5.2.8 23,0ათასი ლარი – უმწეო კატეგორიის სტუდენტთა და პენსიონერთა ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 060308)

მგზავრობის საფასურის თანადაფინასება. ასევე ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმწეო კატეგორიის სტუდენტთა შეღავათიანი ფასებით მგზავრობას მუნიციპალური ტრანსპორტით.აგრეთვე, ქალაქ ზუგდიდში მცხოვრებ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფის ქვეპუნკტიტ ფინანსდება 19 ბენეფიციარი.

პირველ ეტაპზე განხორციელდეს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი უმწეო კატეგორიის სტუდენტებისთვის (რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ, ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში) და პენსიონრებისათვის ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სტუდენტთა და პენსიონერთა მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

შეღავათებით მოსარგებლეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

5.2.9. 90,0 ათასი ლარი – უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060309)

ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ფინანსური და მორალური თანადგომა.უსახლკაროდ დარჩენილთა ბინის ქირით უზრუნველყოფა.

ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახთა ერთჯერადი დახმარება (300-1000ლ) დაზიანების ხარისხის მიხედვით. დახმარების გაცემა მოხდეს: სოფლებში – ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის დასკვნის საფუძველზე და ქალაქში სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის წარდგინებით. ბინის ქირის 100 ლარიანი საზღაური ყოველთვიურად, საკუთარი საცხოვრისის არმქონე: უმწეო კატეგორიის (სარეიტინგო ქულა 70000-ზე ნაკლები) პენსიონერების, შშმპ, მარტოხელა დედის, მრავალშვილიანი ოჯახების, მარჩენალდაკარგული პირისათვის, რომელსაც ჰყავს ერთი ან რამოდენიმე არასრულწლოვანი შვილი. ბენეფიციართა შერჩევა მოხდეს წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის მეშვეობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· უსახლკაროდ დარჩენილთა მოსახლეობის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· სხვადასხვა გარემოებებით უსახლკაროდ დარჩენილთა მოსახლეობის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მაჩვენებელი.

5.2.10. 11,0 ათასი ლარი – დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 060310)

დევნილი მოსახლეობის იდენტიფიკაციის, მონაცემთა ბაზის დამუშავების, დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების ხელშეწყობის მიზნით გაუთვალისწინებელი სხვა ღონისძიებების ხარჯები. გარდაცვლილი დევნილის ოჯახზე დაკრძალვის ხარჯების ხელშეწყობა 100 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· დევნილი მოსახლეობის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· დევნილი მოსახლეობის ხელშეწყობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

5.2.11 66,4 ათასი ლარი – უმწეო ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 060311)

პროგრამით გათვალისწინებულია ზამთრის პერიოდში უმწეო მოსახლეობისთვის გათფობისათვის საჭირო პირობების შექმნა და მხარდაჭერა, ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

მერიის მიერ უფასოდ გაზიფიცირებული ბენეფიციარების გაზის ხარჯის ერთჯერადი თანადაფინანსება 100 ლარის ოდენობით; აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის შეშით ან სანაცვლოდ 100 ლარიანი დახმარება .

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· უმწეო ოჯახების ყოფითი მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· უმწეო ოჯახების ყოფითი მდგომარეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი

5.2.12 370,0 ათასი ლარი – სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 060312)

პროგრამა ითვალისწინებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის თანადაფინანსებას და უკიდურესად შეჭირვებულ პირთა სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების მიერ დაფინანსებული ოპერაციების დარჩენილი ნაწილის თანადაფინანსება. სამედიცინო დახმარების პროგრამა განხორციელდეს შესაბამისი კომისიის დებულების მიხედვით.

- ძვირადღირებული მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა

ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადგილობრივი და დევნილი მოქალაქეების ძვირადღირებული მედიკამენტებით უზრუნველყოფა(ლიმიტი 500 ლარი);

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ნაწილობრივ

გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გაწეული ფინანსური ხელშეწყობის მაჩვენებელი.

- **სამედიცინო გამოკვლევებით უზრუნველყოფის პროგრამა–**

ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადგილობრივი და დევნილი მოქალაქეებისთვის კომპიუტერული და მაგნიტურ–რეზონანსული ტომოგრაფიის, კორონაროგრაფიის დაფინანსება(ლიმიტი 500 ლარი);

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გაწეული ფინანსური ხელშეწყობის მაჩვენებელი.

- **ვირუსული C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა –** ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადგილობრივი და დევნილი მოქალაქეებისთვის გენოტიპირების, ხოლო უმწეო კატეგორიისთვის სრული დიაგნოსტიკური პაკეტის დაფინანსებას (ლიმიტი 500 გენოტიპირების, 800–სრული დიაგნოსტირებისთვის);

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის C ჰეპატიტის სრულფასოვანი დიაგნოსტიკის ხელშეწყობა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გაწეული ფინანსური ხელშეწყობის მაჩვენებელი.

-სტაციონარული სამედიცინო მომსახურება – აღნიშნული პროგრამით დაფინანსდებიან სოციალურად დაუცველი პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა 70 000-დან 100 000-მდე და საჭიროებენ ქირურგიულ დახმარებას.

აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარების დაფინანსება განისაზღვროს შემდეგი სახით:

1 000 ლარამდე სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება – 100%-ით;

1000 ლარიდან-3 000 ლარამდე 50%-ით;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გაწეული ფინანსური ხელშეწყობის მაჩვენებელი.

5.4.5 აუტიზმით და ბავშვთა ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსებავ – აღნიშნული პროგრამით ისარგებლებენ 18 წლამდე ასაკის ბავშვები წელიწადში ერთხელ (ლიმიტი 1000 ლარი).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 18 წლამდე ასაკის ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება და მათი რესოციალიზაციის ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გაწეული ფინანსური ხელშეწყობის მაჩვენებელი.

5.4.6 ქრონიკული დაავადებების მქონე უმწეო პირების მედიკამენტებით უზრუნველყოფა – აღნიშნული პროგრამით ისარგებლებენ II ტიპის დიაბეტით დაავადებული უმწეო პირები(სარეიტინგო ქულა 70000–ზე ნაკლები). მოხდება მათი მედიკამენტებით ყოველთვიური უზრუნველყოფა (სტანდარტული მედიკამენტებიდან ერთერთი). ლიმიტი 50 ლარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· II ტიპის დიაბეტით დაავადებული უმწეო პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გაწეული ფინანსური ხელშეწყობის მაჩვენებელი.

5.5 სტიქიური მოვლენების (მეწყერის) შედეგად დაზიანებულთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 0604)

პროგრამა ითვალისწინებს ასახლებას დაქვემდებარებული, დამეწყრილი ოჯახების ფინანსურ ხელშეწყობას. სტიქიური მოვლენების (მეწყერის) შედეგად დაზარებულთა ოჯახების მხარდაჭერა ერთჯერადი დახმარების სახით 500 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სტიქიური მოვლენების (მეწყერის) შედეგად დაზიანებულთა ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სტიქიური მოვლენების (მეწყერის) შედეგად დაზიანებულთა ოჯახების დახმარების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

5.2 25,0 ათასი ლარით – პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ (პროგრამული კოდი 0605)

„სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში'' ითვალისწინებს საცხოვრისის ბენეფიციართა კორპუსებში ბუნებრივი გაზის შეყვანაა, ეზოს კეთილმოწყობას, კომუნალური გადასახადების თანადაფინანსებას (გათბობა).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა ხარისხობრივი მაჩვენებელი

5.3 30.0 ათასი ლარი – სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის გზით, წარმოდგენილი და მოწონებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 06)

პროგრამა ითვალისწინებს თავშესაფრის არმქონე ბენეფიციარებისათვის სოციალური საცხოვრისის დაპროექტების, სოციალური საწარმოების განვითარების, შშმპ პროგრამების, გენდერული საკითხების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა ხელშეწყობის, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და სხვა აქტუალური პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას (დაფინანსება ან თანადაფინანსება). აღნიშნულ საკითხზე საჯარო მოხელეთათვის (მერიის აპარატის მუშაკები) კვალიფიციური ტრეინინგების მოწყობას მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით და საინფორმაციო-საინსტრუქტაჟო მასალების მომზადებას. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა მოხდეს საკრებულოს მიერ შექმნილი კომისიისა და დებულების შესაბამისად.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სოციალური სფეროს სხვადასხვა მიმართულებებით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული პროექტების განხორციელების შედეგად ცალკეული კატეგორიის მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე მოსახლეობის ინტერესებისა და სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით შერჩეული და დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

მუხლი 11. მარეგულირებელი ნორმები

1. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება განხორციელდეს ქალაქ ზუგდიდის **მუნიციპალიტეტის** მერიის ბიუჯეტის ერთიანი ანგარიშიდან მერიის საფინანსო სამსახურის მეშვეობით;
2. 2015 წლის ბიუჯეტის ასიგნებებთა გადანაწილება წლიური ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. შესაბამის საკითხზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.

3. 2015 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მუშაკებზე პრემიები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დანამატები და დახმარებები გაიცეს შესაბამის დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში;.

4. არასამეწარმეო არაკომერციულმა იურიდიულმა პირებმა არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე თანხების გამოყოფა უზრუნველყონ ქალაქ ზუგდიდის მერიასთან შეთანხმების შემდეგ წარმოდგენილი ხაჯთაღრიცხვისა და ხელშეკრულების მიხედვით.

5. საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა განისაზღვროს ამ საკითხზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

6. შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების საშუალო შრომის ანაზღაურებას.

7. ადგილობრივი მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით გეგმური ზარალის შევსებისათვის დამტკიცებული თანხის გამოყოფა განხორციელდეს საფინანსო საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით.

8. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი - 95,0 ათასი ლარი მიიმართოს მათშორის:

ა) 33.0 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად.

ბ) 45,0 ათასი ლარი – ,,სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილების განსახორციელებელ ღონ- ისძიებათა დასაფინანსებლად.

გ) 10,0 ათასი ლარი – ,,სამშობლოს დაცვისათვის დაღუპულთა, ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდაყოფის შესახებ „საქართველოს კანონით" განსაზღვრული უფლებამოსილებების ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

დ) 7,0 ათასი ლარი – იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 12. სარეზერვო ფონდი

2015 წლის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 123,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი ხარჯვა განხორციელდეს ქალაქის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის-ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 13. ვალდებულებები

განისაზღვროს წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი 987,8 ათასი ლარით.

თავი III
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

	დასახელება	2014 წლის ფაქტი				2015 წლის გეგმა	
		სულ	მათშორის		სულ	მათშორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	16 454,7	2 863,2	13 591,5	22 511,4	6 130,8	16 380,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	311,0	0,0	311,0	142,0	0,0	142,0
	ხარჯები	11 389,2	79,2	11 310,0	15 272,8	876,1	14 396,7
	შრომის ანაზღაურება	3 053,5	0,0	3 053,5	2 782,6	0,0	2 782,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 216,5	2 784,0	1 432,5	6 250,8	5 254,7	996,1
	ვალდებულებების კლება	849,0	0,0	849,0	987,8	0,0	987,8
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 917,6	0,0	2 917,6	4 648,2	0,0	4 648,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	136,0	0,0	136,0	135,0	0,0	135,0
	ხარჯები	1 971,0	0,0	1 971,0	3 553,5	0,0	3 553,5
	შრომის ანაზღაურება	1 512,8	0,0	1 512,8	2 656,6	0,0	2 656,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	97,6	0,0	97,6	106,9	0,0	106,9

	არაფინანსური აქტივების ზრდა	97,6	0,0	97,6	106,9	0,0	106,9
	ვალდებულებების კლება	849,0	0,0	849,0	987,8	0,0	987,8
01 01	ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო	561,0	0,0	561,0	924,4	0,0	924,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33,0		33,0	32,0		32,0
	ხარჯები	550,5	0,0	550,5	884,5	0,0	884,5
	შრომის ანაზღაურება	404,0	0,0	404,0	695,6	0,0	695,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,5	0,0	10,5	39,9	0,0	39,9
01 02	ქალაქის მუნიციპალიტეტის მერია და მერიის სამსახურები	1 423,3	0,0	1 423,3	2 613,0	0,0	2 613,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	103,0		103,0	103,0		103,0
	ხარჯები	1 400,9	0,0	1 400,9	2 546,0	0,0	2 546,0
	შრომის ანაზღაურება	1 108,8	0,0	1 108,8	1 961,0	0,0	1 961,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	22,4	0,0	22,4	67,0	0,0	67,0
01 03	სარეზერვო ფონდი	74,3	0,0	74,3	123,0	0,0	123,0
	ხარჯები	9,6	0,0	9,6	123,0	0,0	123,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	64,7	0,0	64,7	0,0	0,0	0,0
01 04	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	849,0	0,0	849,0	987,8	0,0	987,8
	ვალდებულებების კლება	849,0	0,0	849,0	987,8	0,0	987,8
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2 486,8	0,0	2 486,8	1 153,1	0,0	1 153,1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	175,0	0,0	175,0	7,0	0,0	7,0
	ხარჯები	1 803,3	0,0	1 803,3	1 149,5	0,0	1 149,5
	შრომის ანაზღაურება	1 540,7	0,0	1 540,7	126,0	0,0	126,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	683,5	0,0	683,5	3,6	0,0	3,6
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	2 383,3	0,0	2 383,3	957,0	0,0	957,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	168,0		168,0	0,0		0.0
	ხარჯები	1 701,3	0,0	1 701,3	957,0	0,0	957,0
	შრომის ანაზღაურება	1 465,6	0,0	1 465,6	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	682,0	0,0	682,0	0,0	0,0	0,0
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	103,5	0,0	103,5	196,1	0,0	196,1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7,0		7,0	7,0		7,0

	ხარჯები	102,0	0,0	102,0	192,5	0,0	192,5
	შრომის ანაზღაურება	75,1	0,0	75,1	126,0	0,0	126,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,5	0,0	1,5	3,6	0,0	3,6
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5 653,6	2 639,9	3 013,7	9 514,5	5 454,4	4 060,1
	ხარჯები	2 531,5	79,2	2 452,3	4 225,3	876,1	3 349,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 122,1	2 560,7	561,4	5 289,2	4 578,3	710,9
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები)	1 179,5	1 092,6	86,9	1 018,8	689,0	329,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 179,5	1 092,6	86,9	1 018,8	689,0	329,8
03 01 01	გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა–შენახვა(მ.შორის ტროტუარების რეაბილიტაციისათვის 827,6 ათ.ლარი)	1 170,8	1 092,6	78,2	957,9	689,0	268,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 170,8	1 092,6	78,2	957,9	689,0	268,9
03 01 02	ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია	8,7	0,0	8,7	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,7	0,0	8,7	0,0	0,0	0,0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 094,5	60,3	2 034,2	3 461,3	1 118,2	2 343,1
	ხარჯები	1 820,0	19,1	1 800,9	2 781,7	569,5	2 212,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	274,5	41,2	233,3	679,6	548,7	130,9
03 02 01	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია დაექსპლუატაცია	789,0	41,2	747,8	1 144,9	422,9	722,0
	ხარჯები	523,9	0,0	523,9	600,0	0,0	600,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	265,1	41,2	223,9	544,9	422,9	122,0
03 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების პროგრამა ა.ა.ი.პ ,,ზუგდიდდასუფთავების " ბაზაზე	1 184,0	0,0	1 184,0	1 477,3	0,0	1 477,3
	ხარჯები	1 184,0	0,0	1 184,0	1 477,3	0,0	1 477,3
03 02 04	ლიფტების რეაბილიტაცია	9,4	0,0	9,4	8,9	0,0	8,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,4	0,0	9,4	8,9	0,0	8,9
03 02 05	შენობა-ნაგებობებისა და სახურავების რეაბილიტაცია №34 განკ.	19,1	19,1	0,0	569,5	569,5	0,0
	ხარჯები	19,1	19,1	0,0	569,5	569,5	0,0
03 02 06	ქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა–პატრონობის პროგრამა	89,6	0,0	89,6	124,9	0,0	124,9
	ხარჯები	89,6	0,0	89,6	124,9	0,0	124,9
03 02 07	არასასოფლო მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის ხარჯები	3,4	0,0	3,4	10,0	0,0	10,0

	ხარჯები	3,4	0,0	3,4	10,0	0,0	10,0
03 02 08	ქ.ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	125,8	125,8	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	125,8	125,8	0,0
03 03	ქალაქის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	742,7	90,2	652,5	1 469,3	360,7	1 108,6
	ხარჯები	650,0	0,0	650,0	1 065,2	0,0	1 065,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	92,7	90,2	2,5	404,1	360,7	43,4
03 03 01	მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა	2,5	0,0	2,5	360,7	360,7	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,5	0,0	2,5	360,7	360,7	0,0
03 03 02	ქალაქის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა ა.ა.ი.პ ,,კეთილმოწყობის ცენტრის" ბაზაზე	650,0	0,0	650,0	1 065,2	0,0	1 065,2
	სარჯები	0,0	0,0	0,0	1 065,2	0,0	1 065,2
03 03 03	ბულვარში მდებარე შადრევნის რეკონსტრუქცია	0,0	0,0	0,0	43,4	0,0	43,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	43,4	0,0	43,4
03 03 04	ცენტრალური პარკის და ბოტანიკური ბაღის კეთილმოწყობა	90,2	90,2	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	90,2	90,2	0,0	0,0	0,0	0,0
03 04	სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	90,8	78,0	12,8	642,0	531,9	110,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	90,8	78,0	12,8	642,0	531,9	110,1
03 06	ყინულის მოედნის მშენებლობა	1 119,3	928,5	190,8	988,0	988,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 119,3	928,5	190,8	988,0	988,0	0,0
03 07	საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, ახლის მშენებლობა,	330,2	330,2	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	330,2	330,2	0,0	0,0	0,0	0,0
03 08	ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის ღონისძიებანი	35,1	0,0	35,1	96,7	0,0	96,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	35,1	0,0	35,1	96,7	0,0	96,7
03 09	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვების განხორციელებისათვის	61,5	60,1	1,4	378,4	306,6	71,8
	ხარჯები	61,5	60,1	1,4	378,4	306,6	71,8
03 10	საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა				1000,0	1000,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა				1000,0	1000,0	
03 11	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის	0,0	0,0	0,0	460,0	460,0	0,0

	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	460,0	460,0	0,0
04 00	განათლება	1 831,7	223,3	1 608,4	2 729,4	676,4	2 053,0
	ხარჯები	1 608,4	0,0	1 608,4	1 898,3	0,0	1 898,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	223,3	223,3	0,0	831,1	676,4	154,7
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	1 280,0	0,0	1 280,0	1 492,0	0,0	1 492,0
	ხარჯები	1 280,0	0,0	1 280,0	1 492,0	0,0	1 492,0
04 02	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	88,8	0,0	88,8	90.0	0,0	90.0
	ხარჯები	88,8	0,0	88,8	90.0	0,0	90.0
04 03	სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა ა.ა.ი.პ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის" ბაზაზე	431,3	223,3	208,0	290,3	0,0	290,3
	ხარჯები	208,0	0,0	208,0	290,3	0,0	290,3
04 04	განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	9,6	0,0	9,6	26,0	0,0	26,0
	ხარჯები	9,6	0,0	9,6	26,0	0,0	26,0
04 05	მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია	223,3	223,3	0,0	554,4	554,4	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	223,3	223,3	0,0	554,4	554,4	0,0
04 06	ქ. ზუგდიდში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	276,7	122,0	154,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	276,7	122,0	154,7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2 803,6	0,0	2 803,6	3 441,2	0,0	3 441,2
	ხარჯები	2 713,6	0,0	2 713,6	3 421,2	0,0	3 421,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	90,0	0,0	90,0	20,0	0,0	20,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 605,1	0,0	1 605,1	2 069,0	0,0	2 069,0
	ხარჯები	1 553,0	0,0	1 553,0	2 069,0	0,0	2 069,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	52,1	0,0	52,1	0,0	0,0	0,0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	642,2	0,0	642,2	700,0	0,0	700,0
	ხარჯები	642,2	0,0	642,2	700,0	0,0	700,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და მინი სპორტული მოედნების მშენებლობა.	59,9	0,0	59,9	20,0	0,0	20,0
	ხარჯები	7,8	0,0	7,8	20,0	0,0	20,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	52,1	0,0	52,1	0,0	0,0	0,0
05 01 03	შ.პ.ს საფეხბურთო კლუბ ,,ზუგდიდის“ ფინანსური ხელშეწყობა	903,0	0,0	903,0	1 349,0	0,0	1 349,0
	ხარჯები	903,0	0,0	903,0	1 349,0	0,0	1 349,0

	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1 349,0	0,0	1 349,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1 097,2	0,0	1 097,2	1 232,6	0,0	1 232,6
	ხარჯები	1 059,3	0,0	1 059,3	1 212,6	0,0	1 212,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37,9	0,0	37,9	20,0	0,0	20,0
05 02 01	სამხატვრო გალერეის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამა.	75,0	0,0	75,0	125,7	0,0	125,7
	ხარჯები	75,0	0,0	75,0	105,7	0,0	105,7
05 02 02	სამხატვრო სკოლის დაფინანსება	58,9	0,0	58,9	64,1	0,0	64,1
	ხარჯები	58,9	0,0	58,9	64,1	0,0	64,1
05 02 03	მუსიკალური სკოლების დაფინანსება	280,9	0,0	280,9	291,6	0,0	291,6
	ხარჯები	280,9	0,0	280,9	291,6	0,0	291,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა				291,6	0,0	291,6
05 02 04	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	242,0	0,0	242,0	318,3	0,0	318,3
	ხარჯები	242,0	0,0	242,0	318,3	0,0	318,3
05 02 05	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	82,9	0,0	82,9	111,9	0,0	111,9
	ხარჯები	82,9	0,0	82,9	111,9	0,0	111,9
05 02 06	საინფორმაციო–საგამომცემლო საქმიანობა	22,6	0,0	22,6	21.0	0,0	21.0
	ხარჯები	22,6	0,0	22,6	21.0	0,0	21.0
05 02 07	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა შ.დადიანის სახ. თეატრის ბაზაზე.	297,0	0,0	297,0	300,0	0,0	300,0
	ხარჯები	297,0	0,0	297,0	300,0	0,0	300,0
05 02 08	ჭადრაკის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ანდრია დადიანის სკულპტურის პროექტირება და მშენებლობა	37,9	0,0	37,9	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37,9	0,0	37,9	0,0	0,0	0,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	21,4	0,0	21,4	39,6	0,0	39,6
	ხარჯები	21,4	0,0	21,4	39,6	0,0	39,6
05 04	ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობის ხელშეწყობა	79,9	0,0	79,9	100,0	0,0	100,0
	ხარჯები	79,9	0,0	79,9	100,0	0,0	100,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	761,4	0,0	761,4	1 025,0	0,0	1 025,0
	ხარჯები	761,4	0,0	761,4	1 025,0	0,0	1 025,0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	0,0	0,0	0,0	59,0	0,0	59,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	59,0	0,0	59,0

06 02	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები	0,0	0,0	0,0	27,0	0,0	27,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	27,0	0,0	27,0
06 03	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	739,5	0,0	739,5	884,0	0,0	884,0
	ხარჯები	739,5	0,0	739,5	884,0	0,0	884,0
06 03 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები)	100,0	0,0	100,0	110,0	0,0	110,0
	ხარჯები	100,0	0,0	100,0	110,0	0,0	110,0
06 03 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	30,3	0,0	30,3	34,0	0,0	34,0
	ხარჯები	30,3	0,0	30,3	34,0	0,0	34,0
06 03 03	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	28,0	0,0	28,0	30,0	0,0	30,0
	ხარჯები	28,0	0,0	28,0	30,0	0,0	30,0
06 03 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია	34,6	0,0	34,6	76,6	0,0	76,6
	ხარჯები	34,6	0,0	34,6	76,6	0,0	76,6
06 05 05	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	15,7	0,0	15,7	33,0	0,0	33,0
	ხარჯები	15,7	0,0	15,7	33,0	0,0	33,0
06 03 06	2014 წელს კომპენსაციის თანხა და 2014 წელს ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	230,0	0,0	230,0	3,0	0,0	3,0
	ხარჯები	230,0	0,0	230,0	3,0	0,0	3,0
06 03 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	28,4	0,0	28,4	37,0	0,0	37,0
	ხარჯები	28,4	0,0	28,4	37,0	0,0	37,0
06 03 08	მოსახლეობის და სტუდენტების ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	23,0	0,0	23,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	23,0	0,0	23,0
06 03 09	უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა	70,4	0,0	70,4	90,0	0,0	90,0
	ხარჯები	70,4	0,0	70,4	90,0	0,0	90,0
06 03 10	დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა	11,5	0,0	11,5	11,0	0,0	11,0
	ხარჯები	11,5	0,0	11,5	11,0	0,0	11,0
06 03 11	უმწეო ოჯახების გათბობის საშუალებების და სხვა სახის დახმარების უზრუნველყოფის პროგრამა	80,9	0,0	80,9	66,4	0,0	66,4
	ხარჯები	80,9	0,0	80,9	66,4	0,0	66,4
06 03 12	სამედიცინო დახმარების პროგრამა.	109,7	0,0	109,7	370.0	0,0	370.0
	ხარჯები	109,7	0,0	109,7	370.0	0,0	370.0
06 04	პროგრამა ,,სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში"	2,4	0,0	2,4	25,0	0,0	25,0

	ხარჯები	2,4	0,0	2,4	25,0	0,0	25,0
06 05	დაუცველი ოჯახების, შშმ პირთა ცხოვრების და ჯანმრთელობის პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება და თანადაფინანსებების პროგრამის განხორციელება	19,5	0,0	19,5	30,0	0,0	30,0
	ხარჯები	19,5	0,0	19,5	30,0	0,0	30,0